



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 13

2017 წლის 5 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, საჯარო აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის შექმნის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად

ებრძანებ:

მუხლი 1. შეიქმნას „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, საჯარო აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“ (შემდგომში - კომისია);

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

- იოსებ ტყემალაძე - გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
- კომისიის წევრები:
 - ალექსი ჭანკოტაძე - გამგებლის მოადგილე; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - გიორგი ჩალათაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;
 - ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი;
 - შალვა ჯიბლაძე - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთ. სპეციალისტი-ქონების, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის საკითხებში (მეაუქციონე);
 - ლელა კურტანიძე - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთ. სპეციალისტი ქონების, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის საკითხებში (რეგისტრატორი);
 - ლალა ივანაშვილი - გამგებლის თანაშემწე (მდივანი).

მუხლი 3. „კომისიამ“ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას იხელმძღვანელოს, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N699 დადგენილებით.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 26 თებერვლის №2/304 ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ქონების განკარგვის, აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის შექმნის შესახებ“.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებლის მ/შემსრულებელი:

